ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 28 აგვისტო 2004 №199 (2220) ფასი 50 თეთრი



## წითელქუდებმა მგელი შეჭამეს ამერიკას კალათი წაართვეს




REUTERS

# ელდარ თუ ჰეიდარ?

## დღეს ჭიდაობა არ იქნება, დღეს ჭიდილი იქნება

ხვალ ოლიმპიადა მთავრდება. საქართველოს უკვე აქვს იმდენი ოქრო-ვერცხლი, რამდენიც წინა ორ ოლიმპიადაზე არ აუღია, მაგრამ კაცნი ვართ, ქართველნი ვართ, მოჭიდავე ერი ვართ და მეტი გვინდა.

მაგრამ ქართველი მოჭიდავეები, რომლებიც სულ ბოლოს გამოვიდნენ სარბიელზე, ჯერჯერობით ვერ ფალავნობენ. გუშინ სამმა ქართველმა თავისუფალი სტილის მოჭიდავემ დაიწყო და ჯგუფიდან გაუსვლელად დაამთავრა ჭიდაობა. დღეს კიდევ სამი გამოვა ხალიჩაზე, ბოლო სამეული და ამათ შორისაა ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი ელდარ კურტანიძე. ელდარსაც არ გაუმართლა ოლიმპიურმა კენჭისყრამ, ჯგუფშივე დააჯახა ძველი „მოსისხლე“ ირანელი ალი რეზა ჰეიდარი. მაგრამ კურტანიძეს სპარსი ხომ ორი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ჰყავას ბეჭებზე გაკრული და მოდით, ახლაც კარგზე ვიფიქროთ.

# მდინარეში ორჯერ შეხვალ ისევ ვისლა



ქირესმა ნახევარმთვარეზე წასაყვანები აარჩია

ალენ ქირესს და ჩვენი ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებს აქტიური დღეები ეწყებათ – 4 და 8 სექტემბერს გერმანია 2006-ის შესარჩევი ეტაპის პირველი ორი მატჩი გველის და მუსიე ქირესმაც ნაკრების მოთამაშეთა სია გამოაკრა. ქირესს იმედი აქვს, რომ ეს აქტიური დღეები კრიტიკულ დღეებად არ გადაიქცევა და „დინამოზე“ მიანიშნა, კომპლექსების მსხვრევაში ქართულ ფეხბურთს სამსახური გაუწია „სლავიას“ ძლევითო.

გუშინვე უეფაში კენჭისყრა იყო და კრაკოვური „ვისლა“ ერთხელაც ჩამოვა თბილისში „ეროვნულზე“ სათამაშოდ – ამჯერად მას „ვიტ ჯორჯია“ და 8:2 აღარ ელის, პოლონეთის ჩემპიონი „დინამოს“ შეასკდება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ATHENS 2004

ATHENS 2004

## 27 აგვისტო

ოქრო-ვერცხლი-ბრინჯაო

ATHENS 2004

### მედლების დაფა

| | | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | აშშ | 29 | 34 | 27 | 90 |
| 2 | ჩინეთი | 27 | 17 | 13 | 57 |
| 3 | რუსეთი | 17 | 23 | 28 | 68 |
| 4 | ავსტრალია | 17 | 11 | 16 | 44 |
| 5 | იაპონია | 15 | 10 | 10 | 35 |
| 6 | გერმანია | 12 | 14 | 18 | 44 |
| 7 | საფრანგეთი | 10 | 7 | 11 | 28 |
| 8 | იტალია | 9 | 7 | 10 | 26 |
| 9 | ს. კორეა | 8 | 10 | 8 | 26 |
| 10 | რუმინეთი | 8 | 5 | 5 | 18 |
| 11 | უკრაინა | 8 | 4 | 7 | 19 |
| 12 | დიდი ბრიტანეთი | 7 | 8 | 11 | 26 |
| 13 | უნგრეთი | 6 | 7 | 3 | 16 |
| 14 | საბერძნეთი | 6 | 4 | 4 | 14 |
| 15 | ჰოლანდია | 4 | 9 | 8 | 21 |
| 16 | შვედეთი | 4 | 1 | 2 | 7 |
| 17 | ნორვეგია | 4 | 0 | 1 | 5 |
| 18 | ესპანეთი | 3 | 9 | 5 | 17 |
| 19 | კუბა | 3 | 4 | 9 | 16 |
| 20 | პოლონეთი | 3 | 2 | 4 | 9 |
| 21 | ახალი ზელანდია | 3 | 2 | 0 | 5 |
| 22 | თურქეთი | 3 | 1 | 2 | 6 |
| 23 | კანადა | 2 | 5 | 2 | 9 |
| 24 | ბელარუსი | 2 | 3 | 7 | 12 |
| 25 | ბრაზილია | 2 | 3 | 2 | 7 |
| 26 | ეთიოპია | 2 | 2 | 2 | 6 |
| 26 | სლოვაკეთი | 2 | 2 | 2 | 6 |
| 28 | ტაივანი | 2 | 2 | 1 | 5 |
| 29 | საქართველო | 2 | 2 | 0 | 4 |
| 30 | ბულგარეთი | 2 | 1 | 8 | 11 |
| 31 | იამაიკა | 2 | 1 | 1 | 4 |
| 32 | ტაილანდი | 2 | 0 | 4 | 6 |
| 33 | ჩილე | 2 | 0 | 1 | 3 |
| 34 | ირანი | 2 | 0 | 0 | 2 |
| 35 | ავსტრია | 1 | 4 | 1 | 6 |
| 35 | კენია | 1 | 4 | 1 | 6 |
| 37 | ჩეხეთი | 1 | 3 | 4 | 8 |
| 38 | ლიტვა | 1 | 2 | 0 | 3 |
| 39 | შვეიცარია | 1 | 1 | 3 | 5 |
| 40 | ინდონეზია | 1 | 1 | 2 | 4 |
| 40 | სამხრეთ აფრიკა | 1 | 1 | 2 | 4 |
| 42 | ზიმბაბვე | 1 | 1 | 1 | 3 |
| 43 | მაროკო | 1 | 1 | 0 | 2 |
| 44 | დანია | 1 | 0 | 5 | 6 |
| 45 | აზერბაიჯანი | 1 | 0 | 4 | 5 |
| 46 | ეგვიპტე | 1 | 0 | 3 | 4 |
| 47 | ბელგია | 1 | 0 | 2 | 3 |
| 47 | უზბეკეთი | 1 | 0 | 2 | 3 |
| 49 | ბაჰამები | 1 | 0 | 1 | 2 |
| 49 | ისრაელი | 1 | 0 | 1 | 2 |
| 51 | საამიროები | 1 | 0 | 0 | 1 |
| 51 | კამერუნი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 51 | დომინიკის რესპ. | 1 | 0 | 0 | 1 |
| 51 | ირლანდია | 1 | 0 | 0 | 1 |
| 55 | ჩრდ. კორეა | 0 | 3 | 1 | 4 |
| 55 | მექსიკა | 0 | 3 | 1 | 4 |
| 57 | ლატვია | 0 | 3 | 0 | 3 |
| 58 | ყაზახეთი | 0 | 2 | 3 | 5 |
| 59 | ხორვატია | 0 | 2 | 2 | 4 |
| 60 | პორტუგალია | 0 | 2 | 1 | 3 |
| 61 | ფინეთი | 0 | 2 | 0 | 2 |
| 62 | სლოვენია | 0 | 1 | 3 | 4 |
| 63 | ესტონეთი | 0 | 1 | 2 | 3 |
| 64 | ჰონკონგი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 64 | სერბეთ-ჩერნიგორია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 64 | ინდოეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 67 | არგენტინა | 0 | 0 | 3 | 3 |
| 68 | კოლუმბია | 0 | 0 | 2 | 2 |
| 69 | მონღოლეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 69 | ტრინიდადი და ტობაგო | 0 | 0 | 1 | 1 |
| 69 | ერიტრეა | 0 | 0 | 1 | 1 |
| 69 | ვენესუელა | 0 | 0 | 1 | 1 |
| 69 | სირია | 0 | 0 | 1 | 1 |

### მძლეოსნობა

**კაცები**

**სპორტული სიარული. 50 კმ.**

1 რობერტ კორჟენოვსკი (პოლონეთი) 3:38,46
2 დენის ნიჟეგოროდოვი (რუსეთი) 3:42,50
3 ალექსეი ვოევოდინი (რუსეთი) 3:43,34

**ჭოკით ხტომა**

1 ტიმოთი მეკი (აშშ) 5,95 მ
2 ტობი სტივენსონი (აშშ) 5,90
3 ჯუზეპე ჯიბილისკო (იტალია) 5,85

**110 მ. თარჯრბენი**

1 ძიან ლიუ (ჩინეთი) 12,91 მ
2 ტერენს ტრამელი (აშშ) 13,18
3 ანიერ გარსია (კუბა) 13,20

**ქალები**

**შუბის ტყორცნა**

1 ოსლეიდის მენენდესი (კუბა) 71,53 მ
2 შტეფი ნერიუსი (გერმანია) 65,82
3 მირელა მანიანი (საბერძნეთი) 64,29

**10 000 მ.**

1 ჰუინა ხინი (ჩინეთი) 30:24,36 წთ
2 ეჯეგაიეუ დიბაბა (ეთიოპია) 30:24,98
3 დერარტუ ტულუ (ეთიოპია) 30:26,42

**ესტაფეტა. 4X100 მ.**

1 იამაიკა 41,73 წმ
2 რუსეთი 42,27
3 საფრანგეთი 42,54

**სიგრძეზე ხტომა**

1 ტატიანა ლებედევა (რუსეთი) 7,07 მ
2 ირინა სიმაგინა (რუსეთი) 7,05
3 ტატიანა კოტოვა (რუსეთი) 7,05

### ხუთჭიდი

**ქალები**

თანამედროვე ხუთჭიდი

1 სუზანა ვოროში (უნგრეთი) 5448
2 ელენა რუბლევსკაია (ლატვია) 5380
3 ჯორჯინა ჰარლენდი (ბრიტანეთი) 5344

### ტაეკვონდო

**კაცები**

**68 კგ.**

1 ნადი საეი ბონეხოხალი (ირანი)
2 ხუან ჩი ხსიუნი (ტაივანი)
3 სონ მიონგ-სეობი (ს. კორეა)

**ქალები**

**57 კგ.**

1 ჯან ჯი-ვონი (ს. კორეა)
2 ნია აბდალა (აშშ)
3 ირიდია სალასარ ბლანკო (მექსიკა)

### ნიჩბოსნობა

**კაცები**

**ერთადგილიანი ბაიდარა**

**1 000 მ.**

1 ვარეს ეირლიკ ლარსენი (ნორვეგია)
2 ბენ ფოინი (ახალი ზელანდია)
3 ადამ ვან კოვერდენი (კანადა)

**ქალები**

**ერთადგილიანი კანოე**

**1 000 მ.**

1 დავიდ კელი (ესპანეთი) 3:46,201
2 ანდრეას დიტმერი (გერმანია) 3:46,721
3 ატილა ვეიდა (უნგრეთი) 3:49,025

**ორადგილიანი ბაიდარა**

**1 000 მ.**

1 შვედეთი
2 იტალია
3 ნორვეგია

**ორადგილიანი კანოე**

**1 000 მ.**

1 გერმანია
2 რუსეთი
3 უნგრეთი

**ოთხადგილიანი ბაიდარა**

**1 000 მ.**

1 უნგრეთი
2 გერმანია
3 სლოვაკეთი

**ოთხადგილიანი ბაიდარა**

**500 მ.**

1 გერმანია 1:34,340
2 უნგრეთი 1:34,536
3 უკრაინა 1:36,376

### ველორბოლა

**სამთო ველორბოლა**

**კროსი**

**ქალები**

1 გიუნ-რიტა დალი (ნორვეგია) 1:56,51
2 მარი ელენ პრიმო (კანადა) 1:57,50
3 საბინა შპიცი (გერმანია) 1:59,21

### ბალახის ჰოკეი

**კაცები**

1 ავსტრალია
2 ჰოლანდია
3 გერმანია

### ცხენოსნობა

**კონკური**

1 საიან ოკონორი (ირლანდია)
2 როდრიგო პესოა (ბრაზილია)
3 კრის კეპლერი (აშშ)




REUTERS

ტაეკვონდოს 68 კილოგრამის ფინალში ირანელმა ნადი საეი ბონეხოხალმა ტაივანელი ხუან ჩი ხსიუნი ჩაწიხლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კლონიმპიადის ბოლო სამი იმედი



მედლის კანდიდატმა რევაზ მინდორაშვილმა ჯგუფიდან გასვლა ვერ მოახერხა

ბერძენ-რომაელთა არცთუ შედეგიანი ჭიდაობის შემდეგ გუშინ ხალიჩაზე თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა გუნდის ნახევარი გავიდა და ათენს ისე გამოემშვიდობა, ჯგუფური ეტაპი ვერ გადალახა. ოთარ თუშიშვილის (66 კგ), რევაზ მინდორაშვილისა (84 კგ) და ლექსო მოდებაძის (120 კგ) წონებში ჭიდაობები ისე მიილია, ქართველ გულშემატკივართა ერთადერთ ღია ათენურ ფანჯარად დატოვებულ „იმედის“ ტელეარხზე საჭიდაო ხალიჩა არ გამოჩენილა.

მაშინ როდესაც ლექსო მოდებაძის ჭიდაობის მომლოდინე ხალხი ძალაუნებურად ტელესერიალ „კლონს“ მისჩერებოდა, რედაქციაში ტელეფონის ზარი არ წყდებოდა. ყველას ქართული სამეულის ბედი აინტერესებდა...

ქართველებს რომ მეოთხედფინალში გასვლა გაუჭირდებოდათ, პირველმა ჯგუფურმა შეხვედრებმაც აჩვენა. მედლის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად მიჩნეულმა მინდორაშვილმა მოულოდნელად ბერძენ ლაზაროს ლოიზიდისთან მარცხით დაიწყო და ჯგუფში პირველობა სათუო გაიხადა. საამისოდ ქართველს მეორე მეტოქისთვის, ფრანგი ვინსენტ აკა აკესისთვის უნდა მოეგო, ამ უკანასკნელს კი ბერძენი უნდა წაექცია. მინდორაშვილმა თავისი საქმე კი გააკეთა, მაგრამ ფრანგმა ლოიზიდისთანაც წააგო.

ოთარ თუშიშვილმა სულაც მოუგებლად ჩაამთავრა ოლიმპიური თამაშები. ტრავმირებულ კუბელ სერგეი რონდონთან სუფთად წააგო, ხოლო ჯგუფის ფავორიტად მიჩნეულ უკრაინელ ელბრუს თედეევთან დასაჭიდებლად აღარც გასულა. თედეევმა მანამდე კუბელს 8:2. სძლია და მეოთხედფინალში გავიდა.

გამარჯვებით დაიწყო მძიმეწონოსანმა ლექსო მოდებაძემ. საკმაოდ ძლიერ უნგრელს ხუთი უპასუხო ქულა აუღო, თუმც მთავარი მეტოქე რუსი კურამაგომედ კურამაგომედოვიც იოლად გაუმკლავდა უნგრელს და გადამწყვეტი გახდა მესამე ჯგუფური შეხვედრა. სამწუხაროდ ხალიჩის უქულოდ დატოვება იქ უკვე ქართველს მოუხდა.

გუშინ მორიგი ქართველი ემიგრანტიც ვიხილეთ. გერმანიის სახელით მოჭიდავე დავით ბიჩინაშვილი (84 კგ) მეოთხედფინალში შეიძლებოდა მინდორაშვილს დაპირისპირებოდა, მაგრამ რევაზის მსგავსად ჯგუფიდან გასვლა ვერც მან მოახერხა, შესაბამისად ქართველი და უცხოელი ქართველების მედლების ბალანსიც არ შეცვლილა. დღეს-ხვალ ჩამორჩენის აღმოფხვრას ბოლო სამეული — დავით პოლოსიანი (60 კგ), გელა სალირაშვილი (74 კგ) და ელდარ კურტანიძე (96 კგ) შეეცდება.

**ოთარ მაღლაკელიძე**



გუშინწინ: საქართველოს პირველ ქალბატონ სანდრა რულოვსს ნოზაძე — იბრაჰიმის ფინალური შეხვედრის წინ ეგვიპტელის დედა გამოეცნაურა

# მლდარი ჰმიდარით იწყებს

**ქართველებისთვის** გუშინდელი დღე ყველაზე ნავსიანი გამოდგა. თავისუფალი სტილის მოჭიდავე სამმა ქართველმა ჯგუფშივე ჩატოვა საჩემპიონო თუ სამედლო ამბიციები. ამათგან ყველაზე მეტად რევაზ მინდორაშვილის მარცხი მოგვხვდა გულზე თუნდაც იმიტომ, რომ საკბილო მეტოქეები ჰყავდა და ჩვენც ლამის წინასწარ ჩავსვით ნახევარფინალში...

მაშ ასე, დაგვრჩა სამად სამი იმედი და, მესამე სამართალი — ელდარ კურტანიძემ ქართული ოლიმპიური ოქროები უნდა გაასამოს. დღეს სწორედ კურტანიძე, გელა სალირაშვილი და დავით პოლოსიანი გავლენ ათენურ ხალიჩაზე, ხოლო გუშინ მათ წონებში კენჭისყრა გაიმართა:

პოლოსიანის მთავარი მეტოქე მონღოლი ფალავანი პურევბაატარ ოუნბილეგი იქნება, რომელიც ტიტულებით ჯერ ვერ დაიკვეხნის, მაგრამ ამჟამად თავის წონით კატეგორიაში ერთ-ერთი უძლიერესია. არც ამერიკელი ერიკ გერეროა ნაკლები და საერთოდ, 60 კილოგრამში პოლოსიანის ჯგუფს „სიკვდილის ჯგუფი“ უნდა დაერქვას.

გელა სალირაშვილისგან მედალს არავინ ელოდება. ამ ბიჭმა თუ ჯგუფური ბარიერი გადალახა, ნამდვილი სასწაული იქნება. მეტოქეთაგან უფრო ძლიერი ირანელია — მეჰდი ჰაჯიზადეჰოიბარი მესამე ოლიმპიადაზე იჭიდავებს.

დაბოლოს, ელდარ კურტანიძე! არც ჩვენს მთავარ იმედს ასცდა ირანელი და თანაც რა ირანელი — ალი რეზა ჰეიდარი. არ გეცნობათ? კურტანიძეს მასთან ბოლო ორი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი აქვს მოგებული. გახსოვთ, შარშანწინ ჩვენბურმა თეირანის გადაჭედილ დარბაზს აყურებინა თავიანთი ფალავნის საცოდაობა, ხოლო შარშან ნიუერკულ ფინალშიც დააგდო ბეჭებზე. იქნებ ისიც გახსოვდეთ, „მედისონ სკვერ გარდენში“ თვით დონალდ რამსფილდი რომ გულშემატკივრობდა ელდარს, თუმცა, მას თავისი აწუხებდა: ქართველს გამარჯვების შემთხვევაში აშშ-ის ნაკრები გუნდურ მეორე ადგილზე ალზევდებოდა. ერთი კია, კენჭისყრა ფატალურად არ გვიმართლებს: კურტანიძე — ჰეიდარის ბრძოლას ჯგუფში რა უნდა... რაც შეეხება ბრაზილიელ ჟაუდეს, იგი ქართულ-ირანულ კამპანიაში დასაკვლელად განწირული კრავივითაა.

მეოთხელფინალში კი, ჩვენებურს, ალბათ, ყაზახ ბაირამუკოვთან მოუწევს ჭიდილი, თუმც ჯერ ჯგუფური შეხვედრებს მივხედოთ: სადაც თეირანი და ნიუ იორკი, იქ ათენიც იყოს.

**ილია ნანოგაშვილი**



60 კგ

1 დავით პოლოსიანი

2 ერიკ გერერო (აშშ)

3 პურევბაატარ ოუნბილეგი (მონღოლეთი)

28 აგვისტო: პოლოსიანი — ოუნბიდეგი (10:45 სთ), პოლოსიანი — გერერო (18:45 სთ).

29 აგვისტო: მეოთხედფიანლი. სავარაუდო მეტოქეები: მიგელ იანდრო კინტარა (კუბა), ივან დიორევი (ბულგარეთი), კუმარ სუშილი (ინდოეთი); ნახევარფინალი; ფინალი



74 კგ

1 გელა სალირაშვილი

2 ჯო უილიამსი (აშშ)

3 მეჰდი ჰაჯიზადეჰოიბარი (ირანი)

28 აგვისტო: სალირაშვილი — უილიამსი (10:48 სთ), სალირაშვილი — ჰაჯიზადეჰოიბარი (11:52)

29 აგვისტო: მეოთხედფინალი. სავარაუდო მეტოქეები: არაიკ გევორქიანი (სომხეთი), ნეიტ აკერმანი (დიდი ბრიტანეთი), გენადი ლალიევი (ყაზეხეთი); ნახევარფინალი; ფინალი



96 კგ

1 ელდარ კურტანიძე

2 ალი რეზა ჰეიდარი (ირანი)

3 ანტოინ ჟაუდე (ბრაზილია)

28 აგვისტო: კურტანიძე — ჰეიდარი (10:48), კურტანიძე — ჟაუდე (11:40 სთ).

29 აგვისტო: მეოთხედფინალი. სავარაუდო მეტოქეები: რუსტამ აგაევი (აზერბაიჯანი), ისლამ ბაირამუკოვი (ყაზახეთი), ნიკოლას ჯეკობსი (ნამიბია); ნახევარფინალი. სავარაუდო მეტოქეები: იუნიან ვენგი (ჩინეთი), ალექსანდრის ლალიუტისი (საბერძნეთი), პეტერ პეჩა (სლოვაკეთი), ალექსეი კრუპნიაკოვი (ყირგიზეთი), მაგომედ იბრაგიმოვი (უზბეკეთი), კრასიმირ კოჩევი (ბულგარეთი); ფინალი


ამთანდილ გურასაშვილი ათენიდან

# გაგვხადეთ!
## კომერცია და ვენტილაცია

ამთანდილ გურასაშვილი
ათენიდან



ოლიმპიადა მსხვერპლს მოითხოვს და ცუდ დღეში არა მხოლოდ დამარცხებული სპორტსმენები არიან. ტელეობიექტივს მიღმა დარჩენილ ხალხსაც არ ულხინს. აგერ, თქვენი მონა-მორჩილის გვერდით გამწკრივებული ჟილეტიანი და ნახევრადჟილეტიანი ხალხი აქ, ათენის ოლიმპიურ თამაშებზე აკრედიტირებული ფოტორეპორტიორები არიან, სიცხიანები და მზედაკრულები... თუმცა, აქ დასიცხულებს და გაციებულებს არა მხოლოდ ფოტორეპორტიორებში შეხვდებით, ზოგადად პრესის წარმომადგენლებაც უჭირთ ბერძნულ კლიმატთან ბრძოლა. დაღიან ხვლებ-ხვლებით, ზოგი ოფლითაა გახვითქული, ზოგიც ამ გაგანია სიცხეში სიცივისაგან ძაგძაგებს. თუმც, ზოგჯერ ყველა ძაგძაგებს, გააჩნია, როგორ მუშაობს ავტობუსის და ამა თუ იმ ბაზის პრესცენტრის კონდიციონერი. იქიდან გამოსულებს ახლა სიცხისგან უწუხდებათ გული. ასფალტს ისეთი ოხშივარი ასდის, ხახვი მოიხრაკება და ერბოკვერცხიც შეიწვება, ჩრდილი კი არსადაა. ჰოდა, ტემპერატურის ასეთი მკვეთრი ცვალებადობის გამო დაცივდა და გაცივდა ხალხი. ამიტომაც აქ ერთ-ერთი მთავარი სასაუბრო თემა აუტანელი სიცხე და გაციების საწინააღმდეგო საშუალებებია.

ყოველივე ამას ელოდნენ კიდეც ჟილეტების მწარმოებელი ფირმები და ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე თავიანთი საქონლის სარეკლამო ნემსის ყუნწში გვაძვრენდნენ. ირწმუნებოდნენ და იფიცებოდნენ, ჩვენს ჟილეტებში არ დაგცხებათო.

„ადიდასმა" ბაზარზე გამოიტანა ამერიკის სამეცნიერო კვლევითი ცენტრების მონაწილეობით შემუშავებული ჟილეტი „კლიმაქული", რომელიც მათი თქმით, ჰაერის ვენტილაციას უწყობს ხელს. „ადიდასის" სამეცნიერო კონსულტანტი ჯორჯ ჰევენტი ირწმუნება, სავენტილაციო სისტემის წყალობით ჩვენს ჟილეტში გამოწყობილი კაცის ოფლი იმ წამსვე ორთქლდებაო.

აბა, ისე როგორ იქნებოდა, რომ ამ საქმეში „ადიდასს" „ნაიკი" არ გაჯიბრებოდა და მანაც გამოუშვა რაღაც „სასწაულმოქმედი" ჟილეტი, რომელიც ჰელიუმ-გამაგრილებლებითაა აღჭურვილი.

ჩვენს ჟილეტში სხეულის ტემპერატურა რამდენიმე გრადუსით კლებულობს და თქვენ ნებისმიერ გავარვარებულ თონეში თავს კომფორტულად იგრძნობთო, დაჟინებით გვეუბნება ამ ფირმის ერთ-ერთი წარმომადგენელი რეკლამიდან. ათენში გამომგზავრებულ დიდბრიტანელ, ამერიკელ და ჩინელ ოლიმპიელებს თავიანთ ჩანთებში სხვა რამე-რუმეებთან ერთად თავისი წარმოების ჟილეტებიც ჩაუწყო კომპანია AVACORE TELANOLOGIES-მა, ხოლო ჰოლანდიელები ამგვარი „გამაგრილებელი" სამოსით ფირმა DSM-მა მოამარაგა.

ეს „სასწაულმოქმედი" ეკიპირება, ისევე, როგორც ყოველი სიახლე, ძვირი სიამოვნებაა, ამიტომ ჰიპოკრატეს ფიცის ერთგულნი გვირჩევენ, ვისაც იმ ჟილეტების შეძენის საშუალება არ გაქვთ, სვით ბევრი წყალი და თავი ჩრდილს შეაფარეთო. მაგრამ, აბა, ჩრდილს რა უნდა იმ ხროკ და მოშვლეპილ ადგილებში, სადაც ოლიმპიური ბაზები თუ ოლიმპიური სოფელი გაუშენებიათ. ამიტომაც მიკვირს, იმ დალოცვილებმა ოლიმპიადამდე ერთი ვაიუშველებელი რომ ატეხეს, არიქა, სპორტულ ბაზებზე ხეები დაირგება, მიკროკლიმატი შეიცვლება და ათენს ეკოლოგიური კატასტროფა დაემუქრებაო. ფუჭ ყვირილს სჯობდა, თითოეულ სპორტულ ბაზასთან საიდანმე გადმოერგოთ თითო ხე, რომ ავტობუსის მოლოდინში მოთუხთუხე ჟურნალისტებს ჩრდილის ნაფლეთი მაინც ჰქონოდათ.

მაგრამ ახლა, რაკი ჩემი დღევანდელი თემა აქაური მწვანეები და მათი ყბადაღებული ეკოლოგია კი არა, ჟილეტებია, მეც უამრავ ჯიბეებიან სამოსს დავუბრუნდები. ათენში ჟილეტების მწარმოებელი ფირმების ომი იქნებაო, ხშირად გაიგონებთ აქ.

უცნაურია, მაგრამ აქ იმ ომს ვერ ვხედავთ. იმ სასწაულმოქმედ ჟილეტებში გამოწყობილებს რაღაც ვერც ბრიტანელ ოლიმპიელებში ვხედავ, ვერც ამერიკელებში, ვერც ჩინელებში და ვერც ჰოლანდიელებში. ჟილეტებს ვერც არაოლიმპიელებში შენიშნავთ. აბა, რომელი ჭკუათმყოფელი ჩაიცვამს აქ ჟილეტს? ერთადერთი გამონაკლისი ფოტორეპორტიორები არიან. უნდათ თუ არა, დანომრილი ნაჩუქარი ჟილეტებით უნდა იმუშაონ. წესია ასეთი! ჰოდა, ქალაქის ერთი გარეუბნიდან მეორეში ენაგადმოგდებული ძაღლებივით დარბიან „კოდაკის" ნაჩუქარ ჟილეტებში გამოწყობილები და თან დათრევენ ოთხ-ოთხ რიყა ქვასავით მძიმე ფოტოაპარატებს, უშველებელ ტელეობიექტებს, შტატივებს, ბლიცებს, აკუმულატორებს, რაღა თქმა უნდა, ნოუთბუქებს და კიდევ რაღაც-რაღაცეებს, რაც საერთო ჯამში 20 კილოგრამამდე გამოდის.

ამათ ჭაპანწყვეტზე გული ულონდებათ ისედაც სიცხისგან გათანგულ და გულშეღონებულ ვიპ-ელ სტუმრებს, რომლებიც მინისტრის დონეზეც კი მაისურებით, შორტებითა და ქოშებით დაფრატუნობენ.

რომელიღაც გამჭრიახმა ფოტორეპორტიორმა თავის ჟილეტს ქვედა ნაწილი შემოახია, დანომრილი ადგილი დაუტოვა და ბიუსტჰალტერს დაამსგავსა. მერე იმას ბევრმა მიბაძა. ჰოდა, ახლა ფოტორეპორტიორთა ნახევარი სრული ჟილეტით დადის, მეორე ნახევარი — შემოხეულით და ერთიც... უჟილეტოდ.

ეს უჟილეტო, ამ სტრიქონების ავტორი გახლავართ. ოღონდაც, არ იფიქროთ, რომ ჟილეტი მე არ მეკუთნოდა, არ შემხვდა ან დავკარგე. უბრალოდ გამჭრიახობაში სხვებს ვაჯობე — ერთი ორჯერ ვცადე და ჩემს კუთვნილ ადგილზე უჟილეტოდ გამოვცხადდი. დაკარგაო-და, იმ ბავშვისა არ იყოს, რაკი გამივიდა, მეც ვიტირე, უკაცრავად გუნებაში ვიცინე, რადგან იმ საშინელ ჟილეტს გადავურჩი.

სხვათა შორის, უჟილეტოდ პირველად ამათი სეკურიტების ვითომ მახვილი თვალისა თუ ყურადღების შესამოწმებლად ვიმუშავე. ეგ კი არა, ერთი ოთხჯერ უაკრედიტაციოდაც აღმადალმა ვიარე, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ... ამიტომაცაა ერთი ჩვენი კოლეგა გულგახეთქილი, ისეთი განუკითხაობაა, აქ რაღაც მოხდებაო, თუმცა ამაზე უკვე გიამბეთ.

### კალათბურთი

# ოლეე!
## ოცნების გუნდის ჩასაფლავო

**კაცები**

**ნახევარფინალი**

**არგენტინა 89:81 აშშ**

**არგენტინა:** ჯინობილი (29), ნოჩიონი (13), მონტეჩია (12)
**აშშ:** მარბერი (18), ოდომი (14), დანკანი (10), აივერსონი (10)

**იტალია 100:91 ლიტვა**

**იტალია:** ბაზილე (31), პოცეკო (17), გალანდა (16), ბულერი (12)
**ლიტვა:** მასიაუსკასი (26), ლავრინოვიჩი (15), შტომბერგასი (12)

ორი წლის წინ ინდიანაპოლისში დაწყებული საქმე არგენტინამ გუშინ ათენში დაასრულა, ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები დაამარცხა და ოქროს მედლისთვის ბრძოლას გამოთიშა. 2002 წელს არგენტინა პირველი ნაკრები შეიქნა, რომელმაც 1992 წლის ანუ საერთაშორისო სანაკრებო კალათბურთში პროფესიონალების გამოჩენის შემდეგ მათი უძლეველობის მითი დაამსხვრია. მათი და მათი ლიდერის მანუ ჯინობილის გადამკიდე ბოლო სამი ოლიმპიადის ჩემპიონები ახლა ბრინჯაოსთვის ბრძოლით შეირცხვენენ თავს.

ჯინობილიმ 29 ქულა ჩაუგდო მეტოქეს და მისიანებმა პირველივე წუთებიდან აგრძნობინეს ამერიკელებს, რომ კალათბურთში ნახევარღმერთები აღარ არსებობენ. ბოლო მეოთხედის წინ არგენტინელები 13 ქულით იგებდნენ. ამერიკამ ველარაფერი მოახერხა...

განადგურებული „დრიმ თიმის" თავკაცმა ლარი ბრაუნმა ხელი ჩამოართვა მეტოქის მწვრთნელ რუბენ მანანოს, რომელიც 1992 წელს ბარსელონის ოლიმპიადაზე პირველი და ნაღდი „ოცნების გუნდის" წინააღმდეგ მუხლების კანკალით თამაშობდა...

მაშინ სხვა დრო იყო...

არგენტინა დღეს ფინალში ოლიმპიური ჩემპიონობისთვის იტალიას დაეჭიდება, რომელმაც სამქულიანების სეტყვა მოუვლინა გადაღლილ ლიტვას.

**კოტე ყორშია**


REUTERS ათენიდან

მანუ ჯინობილიმ ტანჯულ „დრიმ თიმს" საბოლოოდ მოუთავა ხელი

### წყალბურთი

**კაცები**

**ნახევარფინალი**

უნგრეთი 7:5 რუსეთი
სერბეთი 7:3 საბერძნეთი

### ფრენბურთი

**კაცები**

**ნახევარფინალი**

იტალია 3:0 რუსეთი
ბრაზილია 3:0 აშშ

**ქალები**

**ნახევარფინალი**

რუსეთი 3:2 ბრაზილია
ჩინეთი 3:2 კუბა

### ხელბურთი

**კაცები**

**ნახევარფინალი**

ხორვატია 33:31 უნგრეთი
გერმანია 21:15 რუსეთი

**ქალები**

**მეოთხედფინალი**

საფრანგეთი 25:23 უნგრეთი
დანია 32:28 ჩინეთი
უკრაინა 25:23 ესპანეთი
კორეა 26:24 ბრაზილია

**ნახევარფინალი**

ს. კორეა 32:31 საფრანგეთი
დანია 29:20 უკრაინა

### ფეხბურთი

**მესამე ადგილისთვის**

იტალია 1:0 ერაყი

# მანჩესტერი რუნისთვის იბრძვის

## 25 მილიონი და ბელიონი ევერტონს



უეინ რუნი



დევიდ ბელიონი

ომი უეინ რუნისთვის გრძელდება და სრულიად ახალ, კიდევ უფრო მძლავრ იერს იღებს.

გუშინწინ „ევერტონმა“ უარყო „მანჩესტერის“ 20-მილიონგირვანქიანი და „ნიუკასლის“ 23,5-მილიონგირვანქიანი შეთავაზებები.

თუმცა, გუშინ დილიდან „მანჩესტერმა“ სულ სხვა ელფერი მიანიჭა შეთავაზებას.

ასეა, როცა სერ ალექს ფერგიუსონს ვიღაც ძალიან მოუნდება, 25 მილიონი გირვანქა, პლუს დავიდ ბელიონი.

ახლაღა გახდა ცნობილი, რომ ოთხშაბათს „ევერტონის“ ბოსი დევიდ მოიესი „ოლდ ტრეფორდზე“ ყოფილა სტუმრად და იქ კარგა ხანს დარჩენილა: ბუქარესტის „დინამოსთან“ მატჩსაც დასწრებია და ბელიონის კარგი თამაშითაც მოხიბლულა. ბელიონმა ზედიზედ ორ თამაშში გაიტანა თითო გოლი, თუმცა, მოიესი მაინც ირლანდიელ მცველ ჯონ ოშის ითხოვს, რომელსაც, ნუ გაგეცინებათ და, „ნიუკასლიც“ უტრიალებს. საქმე ისაა, რომ ოლიმპიადიდან არგენტინელი გაბრიელ ჰაინცეს მობრუნების შემდეგ, ოშის ძირითადისთვის ბრძოლა მოუწევს, იმის მიუხედავად, რომ შარშან შეუცვლელი იყო.

ყოველივე ამის მიუხედავად, რუნის მომავალი კვლავ ბუნდოვანია. „ევერტონის“ თავმჯდომარე ბილ კენრაიტი კვლავ იმედოვნებს, რომ ზინგარევიჩების რუსული ინვესტიცია მის კლუბს უენის გაყიდვისგან იხსნის. ჩანს, 20-მილიონიანი ინვესტიცია მართლა რეალურია, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე კი სულ რამდენიმე დღეღა დარჩა. ასე რომ, მერსისაიდული კლუბი რისკიან თამაშს ეწევა, მაქსიმუმის გამოწურვას ლამობს. გუშინ „ევერტონმა“ 1,5 მილიონ გირვანქად „ლივერპულიდან“ ჯიმი ტრაორე გადაიყვანა და ამ უქმეებზე ალბათ იქედანვე იყიდის სტივ ფინანს.

მოიესი კი ამბობს: „ჩვენ რუნის გაყიდვა არ გვინდა. მხოლოდ იმ შემთხვევაში შეველევით, როცა ფასი უმაღლესი და პირობები ჩვენი იქნება“.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ორი გუნდის რომანი

## ლიგის წილისყრამ რომან აბრამოვიჩის წილები გამოაჩინა

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფების წილისყრის შემდეგ სკანდალი მწიფდება „ჩელსის“ პატრონ რომან აბრამოვიჩის გარშემო.

„ჩელსი“ მოსკოვის ცეესკასთან მოხვდა ჯგუფში და საყოველთაოდ ცნობილია, რომ აბრამოვიჩი ამ რუსული გუნდის მთავარი სპონსორია. ბარე 60 მილიონ დოლარზე მეტი მიუცია ცეესკასთვის. ამიტომ უეფა ინტერესთა კონფლიქტს შიშობს და საქმე შეიძლება იქამდე მივიდეს, რომ ორი გუნდიდან ერთს გათამაშება დაატოვებინოს. ცეესკას მაისურებზე „სიბნეფტ“ წერია, ეს კონცერნი კი აბრამოვიჩის წილითაცაა შექმნილი.



„ჩელსის“ ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ აბრამოვიჩი რუსული კლუბის მრავალთაგან ერთ-ერთის სპონსორია.

ცეესკას პატრონი ევგენი გინერი „სიბნეფტის“ მთავარი მეწილეა. ის ხშირად უნახავთ „სტემფორდ ბრიჯის“ ლოჟაში აბრამოვიჩის გვერდით, გასულ კვირაში კი ისინი კვლავ გვერდიგვერდ ისხდნენ ცეესკას თამაშზე მოსკოვში. შოტლანდიაში მყოფი აბრამოვიჩი ცეესკას ლიგაში შეღწევას სახალხოდ მიესალმა და გასახდელშიც ჩავიდა. წილისყრის შემდეგ კი რუსებს ლამის სახალხო ზეიმი ჰქონდათ „ჩელსისთან“ მოხვედრის გამო. კალენდრით ისინი 20 ოქტომბერს ლონდონში, 2 ნოემბერს კი მოსკოვში ითამაშებენ.

მოკლედ, უეფა ამ საქმეს გამოიძიებს. ჟოზე მაურინიუ კი ამბობს, ჩვენთან ჯგუფში ჩემი საყვარელი გუნდი „პორტუც“ მოხვდა, მაგრამ რა, თამაში თამაშიაო.

**ირაკლი გამყრელიძე**

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე პირდაპირი თუ შესარჩევის გზით მოხვედრილი გუნდების წარმომადგენლებმა ხუთშაბათს ჩატარებული კენჭისყრის კომენტარი გაუკეთეს.

# შიშიანობა დონეცკში

## ტოტი სანტიაგო ბერნაბეუზე ითამაშებს

„რომას“ გენერალურმა დირექტორმა ფრანკო ბალდინიმ, მაგალითად, გაოცებით და სიცილით აღნიშნა, რომ მისი გუნდი ოთხ წელიწადში მესამედ მოხვდა ერთ ჯგუფში მადრიდის „რეალთან“.



ფრანკო ბალდინი

„ესპანური პრესა მართალი ყოფილა, რომ ამბობდა ფრანჩესკო ტოტი „ბერნაბეუზე“ ითამაშებსო — გადაჰკრა ბალდინიმ ჭორებს, რომელთაც გასულ ზაფხულს ლამის ყოველდღიურად ვაწყდებოდით სხვადასხვა წყაროებში — ცხადია, მადრიდელებთან პაექრობა ძნელი იქნება, მაგრამ გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეს გვეხერხება“.

შემდეგ ბალდინის დაეტყო, რომ B ჯგუფის მეტოქეებიდან მადრიდელებზე მეტად ლევერკუზენის „ბაიერი“ და კიევის „დინამო“ არ ესიამოვნა:

„ჩვენ ძლიერი მეტოქეები შეგვხვდა. განსაკუთრებით ძნელი სექტემბერში კიევში გამგზავრება იქნება, თუმცა ცხადია, იქაც ყველა ღონეს ვიხმართ, რათა გავიმარჯვოთ“.

„მილანს“ „ბარსელონა“, „სელტიკი“ და „შახტარი“ ერგო, მისი მწვრთნელი კარლო ანჩელოტი კი თამაშებს მოუთმენლად ელის.

„ჯგუფი იოლი სულაც არ არის, მაგრამ სტიმულს იძლევა — თქვა მან — „ბარსას“ კენჭისყრის წინა დღეს ვეთამაშეთ და შეიძლება ითქვას, რომ კარგად ვიცნობთ. რაც შეეხება „სელტიკს“, ამ გუნდმა ბოლო წლებში ბევრი რამ დაამტკიცა და როგორც შინ, ასევე სტუმრად ჩინებულ შედეგებს მიაღწია, ხოლო „შახტარმა“ ამ ზაფხულს სატრანსფერო ბაზარზე დიდძალი ფული დახარჯა. ერთი სიტყვით, ფრთხილად უნდა ვიყოთ, ოღონდ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამწუთას მეტოქეს უფრო ეშინია ჩვენი“.

„ინტერთან“ კი G ჯგუფში „ვალენსია“, „ანდერლეხტი“ და „ვერდერი“ აღმოჩნდნენ.

მწვრთნელი რობერტო მანჩინი: „ძნელი ჯგუფია, მაგრამ სწორედ ამას ველოდით. ევროპის საუკეთესო შეჯიბრებაში ხომ ძალიან მაღალი დონეა და ნებისმიერის წინაალმდეგ უნდა იყო მზად სათამაშოდ“.

„იუვენტუსს“ კი ნაყარმა კენჭმა „ბაიერნი“, „აიაქსი“ და თელ ავივის „მაკაბი“ არგუნა.

„გაგვიჭირდება — აღიარა „ბებერი ქალბატონის“ ვიცე-პრეზიდენტმა რობერტო ბეტეგამ — თუმც „ბაიერნთან“ პირველი თამაში ცხადია, სასიამოვნო იქნება. ჩვენი ძველი მეტოქეა „აიაქსიც“ და მასთან შეჯიბრება ძნელი იქნება, როგორც საერთოდ, ჰოლანდიელებთან არის ხოლმე თამაში ძნელი“.

**პაპუნა კედია**

# ჯერ ოჯახი, მერე რომა



ჩეზარე პრანდელი

„პარმადან“ „რომაში“ ახალგადასულმა მწვრთნელმა ჩეზარე პრანდელიმ კლუბს განუცხადა, რომ ოჯახური მიზეზების გამო გუნდიდან წასვლას აპირებს. ამასთან დაკავშირებით „რომამ“ ოფიციალური განაცხადი გააკეთა, სადაც წერია:

„ჩეზარე პრანდელიმ გვითხრა, რომ ოჯახური მდგომარეობის გამო სამსახურიდან წასვლა სურს. კლუბმა მდგომარეობის დელიკატურობიდან გამომდინარე პრანდელის დაყოვნება და თავისი მდგომარეობის მშვიდად აწონ-დაწონვა შესთავაზა“.

ცნობისთვის: ჩეზარე პრანდელის მეუღლე ჰყავს ავად, რომლის ოპერაციის გამო მწვრთნელმა გუნდის ამერიკული ტურნე უკვე გამოტოვა.

პრანდელის შესაძლო შემცვლელებად ასახელებენ „პერუჯადან“ წასულ სერსე კოზმის და „პორტუდან“ წასულ ლუიჯი დელ ნერის.

**პაპუნა კედია**

# ინგლისი

ვაჟა ხუციშვილი

| IV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბლექბერნი | : | მანჩესტერი |
| ასტონ ვილა | : | ნიუკასლი |
| ტოტენჰემი | : | ბირმინგემი |
| ჩელსი | : | საუთჰემპტონი |
| ევერტონი | : | ვესტ ბრომვიჩი |
| სიტი | : | ჩარლტონი |
| მიდლსბრო | : | კრ. პალასი |
| ნორვიჩი | : | არსენალი |
| **ხვალ** | | |
| ბოლტონი | : | ლივერპული |
| **ზეგ** | | |
| პორტსმუთი | : | ფულემი |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 3 | 3 | 0 | 0 | 12:4 | 9 |
| ჩელსი | 3 | 3 | 0 | 0 | 4:0 | 9 |
| ბოლტონი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 6 |
| ჩარლტონი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 6 |
| ტოტენჰემი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| ლივერპული | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| მიდლსბრო | 3 | 1 | 1 | 1 | 7:7 | 4 |
| ფულემი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ბირმინგემი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ასტონ ვილა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| ვესტ ბრომვიჩი | 3 | 0 | 3 | 0 | 3:3 | 3 |
| მანჩესტერი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ევერტონი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | 3 |
| საუთჰემპტონი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| ნორვიჩი | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | 2 |
| ნიუკასლი | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | 2 |
| პორტსმუთი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| სიტი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |
| ბლექბერნი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | 1 |
| კრისტალ პალასი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | 1 |

„ასტონ ვილა“, რომელმაც შუა კვირაში „ჩარლტონთან“ 0:3 წააგო, „ნიუკასლს“ უმასპინძლებს. სერ ბობი რობსონის გუნდი სამი ტურის შემდეგ მეთხუთმეტე ადგილზეა და ჯერ მოგების გემო არ იცის. ბირმინგემელებს „ჩარლტონთან“ მეკარე ტომას სორენსენი დაუშავდათ და მისი თამაში დღეს საეჭვოა. „ნიუკასლმა“ „ნორვიჩთან“ თითქმის მოგებული შეხვედრა 2:2 დაასრულა, რამაც კრეიგ ბელამი გააბრაზა და მწვრთნელს ტაქტიკა დაუწუნა.

შესაძლოა, „მანჩესტერ იუნაიტედს“ ბლექბერნში ტრავმამოშუშებული ლუი საა დაუბრუნდეს. როი კინს ნეკნი აწუხებს და ვერ ითამაშებ, ხოლო ნახევარდაცვას პოლ სქოულზი და რაიან გიგზი შეეშველებიან, რომლებმაც ბუქარესტის „დინამოსთან“ მატჩი გამოტოვეს. აქვე გავიხსენოთ, რომ „ბლექბერნმა“ მაისში „მანჩესტერ იუნაიტედს“ შინ 1:0 მოუგო.

„ჩელსი“ პრემიერლიგაში ჯერჯერობით ერთადერთია, გოლი რომ არ გაუშვია. ჟოზე მაურინიუმ დაცვა თავის გემოზე შეადუღა და მისი გატეხვა „საუთჰემპტონსაც“ გაუჭირდება. მით უმეტეს, სტუმრებს გასულ უქმეებზე მწვრთნელი შეუცვალეს. პოლ სტაროკის ადგილი სტივ უიგლიმ დროებით ჩაიბარა და პირველივე შეხვედრაში შინ „ბოლტონთან“ 1:2 დამარცხდა. „ჩელსი“ ზედიზედ მეოთხე მატჩის მოგებას ეცდება.

„ვესტ ბრომვიჩს“ სამ ტურში სამი ფრე დაუგროვდა და გოლებიც ზუსტად ამდენი აქვს გატანილ-გაშვებული. ბრომვიჩელები ლივერპულში „ევერტონს“ ესტუმრებიან. დევიდ მოიესის გუნდმა წინა ტურში გასვლაზე „კრისტალ პალასს“ 3:1 სძლია.

## მოსწავლე მასწავლებელს ტაქტიკას ასწავლის



„ნორვიჩთან“ ფრემ კრეიგ ბელამი ისე გაამწარა, სიტყვა ბობი რობსონსაც შეჰბედა

კევინ კიგანის „მანჩესტერ სიტიმ“ პრემიერლიგა ცუდად დაიწყო და ცხრილის ქვედა ნახევარში ნებივრობს. სიტელთა შემადგენლობაში შესაძლოა მეკარე რონალდ ვატერეუსის დებიუტი შედგეს, რომელიც შუა კვირაში შეიძინეს. პირველ ტურში „ბოლტონთან“ წაგების შემდეგ „ჩარლტონმა“ მიჯრით ორი მოიგო და დღეს „სიტისთანაც“ ფრენსის ჯეფერსით შეუტევს. ჯეფერსმა „ასტონ ვილასთან“ დუბლი შეასრულა და საგოლე იშტაზეა. „ჩარლტონს“ ტრავმირებული ნახევარმცველი მეტ ჰოლანდი დააკლდება.

მარკ ვიდუკათი და ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკით გაძლიერებული „მიდლსბრო“ მაჩანჩალა „კრისტალ პალასს“ დაუხვდება. „ბოროს“ ბოატენგი, კოტეიჯი და რაიციგერი არ ეყოლება.

მიუხედავად იმისა, რომ „ნორვიჩი“ პრემიერლიგაში ახალგადასულია, „მანჩესტერთანაც“ ჯიგრიანად იბრძოლა, „ნიუკასლს“ კი სტუმრად 0:2-ზე ორი გოლი გაუტანა და ქულა მიითვალა. „იადონები“ ჩემპიონატის ლიდერ „არსენალს“ დაუხვდებიან და ამ შეხვედრაშიც იოლად არ დანებდებიან. მასპინძლებს ნიუკასლში ტომას ჰელვეგი, მატიას იონსონი დი მეტ სვენსონი დააკლდათ, რომლებიც დღეს „მეთოფეებთან“ სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში იქნებიან. არსენ ვენგერის გუნდს სოლ კემპბელი და პატრიკ ვიეირა ვერ დაეხმარებიან.

„პორტსმუთი“ „ფულემთან“ სეზონში პირველი მოგებისთვის ტრავმირებულ ფორვარდ ლომანა ლუა ლუას გარეშე იბრძოლებს. „ფულემი“ გამთამაშებელ სტივ მალბრანკს და ფაკუნდო სავას მოისაკლისებს.

„ტოტენჰემის“ მწვრთნელმა იქნებ ჯერმენ დეფო დაასვენოს და შეტევაში რობი კინიფრედერიკ კანუტის წყვილი გაამწესოს. „მამალთა“ დღევანდელ მეტოქე „ბირმინგემს“ ბლომად დაშავებული ფეხბურთელები ჰყავს: სტან ლაზარიდისი, დევიდ დანი, კლინტონ მორისონი და ემილ ჰესკი. რობი სევიჯი კი დისკვალიფიცირებულია მატია კეჟმანისთვის იდაყვის ჩარტყმის გამო.

## ლუსიოს დაბრუნება

### შვაინსტაიგერი ფარმაცევტობას აპირებს

ლევერკუზენის „ბაიარენას“ დღეს კვამლი აუვა — „ბაიერი“ მიუნხენის „ბაიერნს“ მასპინძლობს. მიუნხენელებმა ლევერკუზენელებს ბოლო სამი წლის განმავლობაში სამი ფეხბურთელი წაჰგვარეს. ჯერ ზე რობერტო და ბალაკი,



დღეს ლუსიო ბურთს ყოფილი თანაგუნდელების წინააღმდეგ გააგორებს

ამ სეზონში კი ლუსიო, რომელიც პირველად ითამაშებს ყოფილი თანაგუნდელების წინააღმდეგ. სტუმრებს ტრავმირებული მეჰმეთ შოლი არ ეყოლებათ და მის ადგილს, სავარაუდოდ, ბასტიან შვაინსტაიგერი დაიკავებს. გერმანული მედიის ცნობით, „ბაიერს“ „ბაიერნისგან“ სწორედ შვაინსტაიგერის წაყვანა სურს. მასპინძელთა მწვრთნელმა ამის თაობაზე თქვა: „ჯერ არ გვისაუბრია, მაგრამ შესაძლოა, ნამატჩევს ამ თემას შევეხოთ“. აღსანიშნავია, რომ „ფარმაცევტები“ ზედიზედ 13 ბუნდესლიგური შეხვედრაში არ დამარცხებულან.

„ფრაიბურგს“ ჯერ გოლი არ გაუშვია და შეძლებენ თუ არა „მშრალი“ სერიას გაგრძელებას ფინკეს შეგირდები, მიონხენგლადბახის „ბორუსიასთნ“ გამოჩნდება, რომელმაც შუა კვირაში ჩეხური „ბანიკის“ ფორვარდი მარეკ ჰეინცი დაიმატა.

„ჰამბურგის“ თავკაც კლაუს ტოპმიოლერს წყალი შეუდგა, რაკი ინტერტოტოს თასიდანაც გავარდა, გერმანიის თასიდან უსახელო „პადერბორნმა“ გააძევა და ცხრილის ბოლო ადგილზეც ყურყუტებს. სამუშაოს შენარჩუნება თუ სურს, ტოპმიოლერის „ჰამბურგმა“ „ნიურნბერგს“ შინ უნდა სძლიოს. მასპინძლებს მოკეთებული ფორვარდი ბენჟამინ ლაუტი დაუბრუნდათ. ახალწვეულმა „ნიურნბერგმა“ ბუნდესლიგა რიხით დაიწყო. ჯერ სტუმრად „კაიზერსლაუტერნი“ დააჩოქა, მერე კი შინ „შტუტგარტს“ ქულა დაატოვებინა და მესამე საფეხურზე გამოიჭიმა.

შარშანდელი სეზონის კერკეტი კაკალი „ბოხუმი“ ბილეფილდში „არმინიას“ ეწვევა. „არმინიამ“ ჯერჯერობით მხოლოდ ერთი შეხვედრა შინ გლადბახელებთან გამართა, მეორე ტური კი სტუმრად „ჰანოვერთან“ გადაედო, რადგან ჰანოვერში სტადიონის რეკონსტრუქცია მიმდინარეობს. რაც შეეხება „ბოხუმს“, ამ სეზონშიც საკმაოდ ყოჩაღად თამაშობს.

„კაიზერსლაუტერნი“, რომელსაც აქამდე ორივე შეხვედრა წაგებული აქვს, მხოლოდ გერმანიის თასზე ყოფილა ძლიერი, სადაც მოყვარული „შოენბერგი“ გამოიჭირა და 15:0 მოუგო. თხუთმეტი გოლიდან შვიდი კარსტენ იანკერმა მიითვალა. „კაიზერი“ მათიას ზამერის „შტუტგარტს“ დაუხვდება.

გელზენკირხენის „შალკემ“ ინტერტოტოზე სტუმრად „ლიბერეცი“ აილტონის გოლით დაამარცხა და „ხუმარების“ ქომაგებს ბრაზილიელის „ჰანზასთანაც“ ეიმედებათ. როსტოკელებს ამ ზაფხულს მთავარი ფორვარდი მარტინ მაქსი წაუვიდათ და შეტევაში ძალიან გაუჭირდათ. „ჰანზამ“ ორი ტური უგოლოდ გალია.

ორი კვირის წინ „ჰამბურგის“ მომგები დებიუტანტი „მაინცი“ ბერლინს ეწვევა და „ჰერტას“ შეხვდება, რომელმაც მცირე სასწაული შეძლო და მიუნხენის „ბაიერნს“ ქულა წაართვა. ბერლინელთა მწვრთნელ ფალკო გიოტცისთვის სასიხარულოა, რომ გუნდის ფორვარდი ფრედი ბობიჩი მომჯობინდა.

დორტმუნდის „ბორუსიას“ ორი ფეხბურთელი მოუშუშდა: კრისტიან ვიორნსი და ბრაზილიელი დედე. გამორიცხული არაა, ბერტ ვან მარვიიკმა ორივე ძირითად შემადგენლობაში გაამწესოს „ჰანოვერთან“ ხვალინდელ მატჩში.

# გერმანია

ვაჟა ხუციშვილი

| III ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ლაუტერნი | : | შტუტგარტი |
| ფრაიბურგი | : | გლადბახი |
| არმინია | : | ბოხუმი |
| ლევერკუზენი | : | ბაიერნი |
| ჰერტა | : | მაინცი |
| ჰამბურგი | : | ნიურნბერგი |
| შალკე | : | ჰანზა |
| **ხვალ** | | |
| დორტმუნდი | : | ჰანოვერი |
| ვერდერი | : | ვოლფსბურგი |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვერდერი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| შტუტგარტი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| ნიურნბერგი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ბაიერნი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ლევერკუზენი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ფრაიბურგი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| დორტმუნდი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| ვოლფსბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| შალკე | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| მაინცი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | 3 |
| ბოხუმი | 2 | 0 | 2 | 0 | 4:4 | 2 |
| ჰერტა | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| არმინია | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| გლადბახი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ჰანზა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:4 | 1 |
| ჰანოვერი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ლაუტერნი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |
| ჰამბურგი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

# ესპანეთი. პრიმერადივიზიონი. 2004-2005

# ზაფხული მიდის, პრიმერა მოდის

## 21 ნოემბერი ესპანეთში სიამოვნების დღეა

*დღეს ევროპის უდიდეს ჩემპიონატთაგან კიდევ ერთი, ესპანური პრიმერა იწყება. როგორც ესპანეთში ამბობენ, ზაფხული გავიდა? ესე იგი, ფეხბურთი მოდის! იქაური ფეხბურთის გულშემატკივრებს გეცოდინებათ, რომ ესპანეთში სეზონი აგვისტოს ბოლო ან სექტემბრის პირველ უქმეებზე იწყება-ხოლმე*



რონალდინიო, ზიდანი, რობერტო კარლოსი... ერთად 21 ნოემბერს

**რომ ვთქვათ,** ესპანეთში სეზონის დაწყებას ჩინებულ გუნებაზე მყოფები ეგებებიან-თქო, მთლად მართლები არ ვიქნებით: ამ ზაფხულს ინაკი საესის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე, მეტი რომ არ ვთქვათ, კარგად ვერ ითამაშა და ხალხი დაანაღვლიანა. მეორე კი ის, რომ ესპანეთში საერთო შეშფოთებას იწვევს ახალგაზრდა ფეხბურთელთა უცხოეთში გადინება, რაც აქამდე არასდროს შეინიშნებოდა. ფერნანდო მორიენტესის და ხოსე ანტონიო რეიესის მაგალითი და უპირველესად მათი ევროპული გაბრწყინება დიდად მიმზიდველი აღმოჩნდა ბევრისთვის და არა მარტო ფეხბურთელებისთვის — ესპანეთიდან მწვრთნელები, რაფაელ ბენიტესი და ვიქტორ ფერნანდესიც წავიდნენ.

ესპანელები ძირითადად ინგლისში მიდიან, სადაც მათ ხარისხიანი ფეხბურთის გარდა გვარიანი ხელფასებიც ხვდებათ. იგივე რაფა ბენიტესი — ვისი „ლივერპულში“ გადასვლის ერთადერთი მიზეზიც დიდი ფული ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, „ღამურების“ პრეზიდენტი ხაიმე ორტი სწორედ ასე ამტკიცებს. მოკლედ, ცხონებული ვიტო კორლეონეს ენით რომ ვთქვათ, ბენიტესს და სხვებსაც ინგლისში ისეთ პირობებს სთავაზობენ, რაზეც უარის თქმა შეუძლებელია.

არადა, „ვალენსიასთვის“ მწვრთნელის წასვლა ძალიან დიდი დანაკლისია. იმდენად დიდი, რომ მცოდნე ხალხმა „ვალენსია“ ამთავითვე ჩამოწერა ჩემპიონობის ფავორიტობიდან, რაც ფრიად უცნაურია — მოქმედი ჩემპიონი ფავორიტი არ არის.

მეორე მხრივ კი „ვალენსიამ“ ფეხბურთელების ძირითადი ბირთვი შეინარჩუნა და შემადგენლობა გააძლიერა კიდეც: დი ვაიო, ფიორე, კორადი — ურიგო შენაძენი არ გახლავთ. როგორც ჩანს, ესპანელებს მაინცდამაინც არ სწამთ კლაუდიო რანიერის, რომელმაც მისვლისთანავე გუნდი ორი თავდამსხმელით თამაშზე გადაიყვანა და ესპანეთის სუპერთასზე პირველ მატჩში „სარაგოსასთან“ შინ 1:3 წააგო. ისე, როგორი გუნდია „ვალენსია“ გუშინ, მონაკოში „პორტუსთან“ ევროპის სუპერთასზე შეხვედრისას შეგეძლოთ გენახათ.

მართალია, ესპანელების მიერ „ვალენსიას“ ჩემპიონობის ფავორიტობიდან ჩამოწერა უცნაურია, მაგრამ ის, რომ ტიტულის უპირველეს პრეტენდენტებად „რეალს“ და „ბარსელონას“ თვლიან, სრულიად ჩვეულებრივი ამბავია.

დღეს, სეზონის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე, ხალხი სიამოვნებისგან ხელებს იფშვნეტს და წინასწარვე ემზადება 21 ნოემბრისთვის, როცა „კამპ ნოუზე“ „ბარსა“ „რეალს“ დაუხვდება. ამბობენ, ეს „სუპერკლასიკო“ ბოლო წლების საუკეთესო „სუპერკლასიკო“ იქნებაო და ამგვარ რწმენას საკმაო საფუძველი გააჩნია.

„რეალი“, რომელიც წინა სეზონში ყველაფრის მოგებით იქადნიდა და რაც მოიგო, კარგად მოგეხსენებათ, დაბოლმილია და შარშანდელის ანაზღაურებას ლამობს. „ბარსას“ გვარიანად გაწელილი კრიზისიც, რაც ხოსეპ ნუნიესის მმართველობის ბოლო პერიოდიდან მოდიოდა, მგონი, დასრულდა და კატალონიელებიც 21-ე საუკუნეში პირველი დიდი ჯილდოს თუ ჯილდოების მოგებას ეშურებიან.

„რეალისთვის“ ეს სეზონი, უფრო სწორად კი სეზონისწინა პერიოდი ძალიან კარგად დაიწყო — ფლორენტინო პერესი უზარმაზარი უპირატესობით ხელახლა აირჩიეს კლუბის პრეზიდენტად. ეს კი ნიშნავს, რომ ხალხი მისეულ პოლიტიკას, „ზიდანების და პავონების პოლიტიკასაც“ რომ უწოდებენ, კლუბის წევრებისთვის მისაღებია.

ამავე დროს, ყველა ის ნაბიჯი, რომელიც პერესმა სეზონის წინ გადადგა, სავსებით ლოგიკურად და სწორად გამოიყურება. „რეალმა“ პირველ რიგში უიღბლობის გარდა ვერაფრის მომტანი კარლოს კეიროში მოიშორა და ხოსე ანტონიო კამაჩო მოიყვანა. ფერნანდო იეროს წასვლის მერე გუნდს დაცვაში პრობლემები ჰქონდა და ვალტერ სამუელის და ჯონათან ვუდგეიტის მოყვანით გადაჭრა. ამას მაიკლ ოუენის ყიდვაც დაემატა.

საერთოდ, ესპანეთში ბევრი თვლის, რომ „რეალს“ ოუენი არ სჭირდებოდა. ამის საპასუხოდ ინგლისელის ტრანსფერის მომხრეები ამბობენ, რომ წინა სეზონში კლუბმა მხოლოდ რონალდოს და რაულის იმედად ყოფნით ბევრი დაკარგა, რადგან საჭირო დროს მათი შემცვლელი არ ჰყავდა. ახლა „რეალს“ საუკეთესო ფორვარდების პრობლემა აღარ აქვს — რონალდო, რაული, ოუენი და ფერნანდო მორიენტესი, რომლის თავის დროზე „მონაკოში“ გასესხებამ მადრიდელებს კარგი არაფერი მოუტანა. გახსომებათ, რომ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალიდან „რეალი“ სწორედ მორიენტესის გოლებით გავარდა.

ბოლო დღეებში ისიც ითქვა, რომ „რეალი“ ლუიშ ფიგუს გაშვებას აღარ აპირებს, რის თაობაზეც ამ ცოტა ხნის წინ ბევრი ითქვა და დაიწერა.

ერთადერთი პრობლემა, რაზეც ახლა ლაპარაკობენ, ნახევარდაცვაში ივან ელგერას სრულფასოვანი მეწყვილის არყოლაა. პატრიკ ვიეირასთან მოლაპარაკება ჩაიშალა და, სავარაუდოდ, კამაჩოს ტაქტიკის შეცვლაც მოუწევს მეორე საყრდენი ნახევარმცველის არყოლა შესამჩნევი რომ არ იყოს.

არანაკლები ოპტიმიზმით ხვდება სეზონის დაწყებას „ბარსელონაც“. სეზონსი წინ კატალონიის მთავარქალაქში, ფაქტობრივად, ახალი გუნდი შექმნეს და კლუბის პრეზიდენტის, ხუან ლაპორტას „მოკრძალებული“ პროგნოზით, ამ სეზონში „ბარსელონა“ „მხოლოდ“ ესპანეთის ჩემპიონობისთვის, სამეფო თასისთვის და ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებისთვის იბრძოლებს.

ყველაფრის მოგება, ცოტა არ იყოს, გადამეტებული ჩანს, მაგრამ მეორე მხრივ, კლუბი, რომელსაც ასეთი შემადგენლობა ჰყავს, აბა, რისთვის უნდა იბრძოდეს?!

შემადგენლობა კი მართლა ძალიან სოლიდურად გამოიყურება. ბოლო ერთ თვეში კატალონიელებმა ჰენრიკ ლარსონი, დეკუ, სამუელ ეტოო, ბელეტი, სილვინიო და ედმილსონი იყიდეს. ამას დავუმატოთ, რომ „ბარსაში“ ახალწვეულებს რონალდინიო, კარლეს პუიოლი, ხავი და მათი მეგობრები დახვდებიან და...

თანაც წინა სეზონის მეორე წრე „ბარსამ“ ისე ჩაატარა, შეუძლებელია, არ აღფრთოვანებულიყავით. სხვა რომ არაფერი, „ბარსამ“ სტუმრად დაამარცხა „რეალი“, „ვალენსია“ და „დეპორტივო“.

ძალთა განლაგებას თუ გადავხედავთ, სავარაუდოდ, „რეალის“ და „ბარსელონას“ დავაში „ვალენსიას“ გარდა ვერც „დეპორტივო“ ჩაერევა — „დეპორტივო“ ვალენსიელებზე მეტად. ელემენტარულად, გალისიელებმა შემადგენლობის გაძლიერება საჭიროდ არ ჩათვალეს და არის მოსაზრება, რომ შარშანდელი მესამეადგილოსნობის გამეორება „დეპორისთვის“ საუკეთესო მიღწევა იქნება.

ერთადერთი კოზირი, რომელიც ლაკორუნიელებს უჭირავთ, შემადგენლობის სტაბილურობა და შეთამაშებულობაა, რაც თავისთავად უმნიშვნელო არ არის, მაგრამ როცა სხვები ძლიერდებიან, ეს ერთი კოზირი საკმარისი არ უნდა იყოს.

კარგი გუნდი უნდა იყოს შარშანდელი უეფას თასის ნახევარფინალისტი „ვილიარეალი“, რომელმაც „მანჩესტერ იუნაიტედს“ ურუგვაელი დიეგო ფორლანი წაჰგვარა. ოთხეულისთვის იბრძოლებს „ატლეტიკოც“ და „სევილიაც“. ბევრს მიაჩნია, რომ ამ სეზონის აღმოჩენა სწორედ „სევილია“ იქნება, რასაც პრიმერას სხვა გუნდები ალბათ არ ეთანხმებიან, „აღმოჩენად“ ყოფნა ხომ ყველას თავისთვის უნდა.

**ქოტე ქექელია**



# მონაწილეთა განაცხადები




ჯონათან ვუდგეიტი: „რეალის“ მესამე ინგლისელი

## ვალენსია

მეკარეები
1 სანტიაგო კანისარესი
13 ანდრეს პალოპი
ლუდოვიკ ბუტელე
მცველები
2 მაურისიო პელეგრინო
3 ფაბიო აურელიო
4 რობერტო აიალა
5 კარლოს მარჩენა
12 მარკო კანეირა
15 ამადეო კარბონი
17 დავიდ ნავარო
23 კურო ტორესი
ემილიანო მორეტი
ნახევარმცველები
6 დავიდ ალბელდა
7 სტეფანო ფიორე
8 რუბენ ბარახა
10 მიგელ ანხელ ანგულო
14 ვისენტე
16 კანობიო
18 ხორხე ლოპესი
19 ფრანსისკო რუფეტე
21 პაბლო აიმარი
25 მოჰამედ სისოკო
გონსალო დე ლოს სანტოსი
ლიბერო პარი
მიგელ ალბიოლი
თავდამსხმელები
9 ბერნარდო კორადი
11 მარკო დი ვაიო
20 მიგელ ანხელ მისტა
24 ფრანსისკო ხისკო
მწვრთნელი:
კლაუდიო რანიერი

## ბარსელონა

მეკარეები
1 რუშთუ რექბერი
25 ვიქტორ ვალდესი
ალბერტ ხორკერა
მცველები
2 ჟულიანო ბელეტი
4 რაფაელ მარკესი
5 კარლოს პუიოლი
12 ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი
15 ედმილსონი
16 სილვინიო
18 გაბრი
19 ფერნანდო ნავარო
23 პრესას ოლეგერი
ხოსე მორა
სერხიო როდრი
კარლოს პენია
ნახევარმცველები
3 ტიაგო მოტა
6 ხავი ერნანდესი
8 ლუდოვიკ ჟიული
10 რონალდინიო
14 ხერარდ ლოპესი
20 დეკო
24 ანდრეს ინიესტა
ლეონარდო მესი
თავდამსხმელები
7 ხავიერ სავიოლა
9 სამუელ ეტოო
17 ჰენრიკ ლარსონი
ორიოლ რიერა
მწვრთნელი:
ფრანკ რაიკარდი

## დეპორტივო

მეკარეები
1 ფრანსისკო მოლინა
13 გუსტავო მუნუა
დანიელ დანი მალო
მცველები
2 მანუელ პაბლო
3 რომერო
5 სეზარ მარტინი
14 ხორხე მანუელ ანდრადე
15 ხუან კაპდევილა
20 პაბლო ამო
24 ჰექტორი
ნახევარმცველები
6 მაურო სილვა
8 სერხიო გონსალესი
10 ფრანსისკო ფრანი
12 ლიონელ სკალონი
18 ვიქტორ სანჩესი
21 ხუან კარლოს ვალერონი
23 ალდო დუშერი
რობერტო ტორო აკუნია
ხესუს მუნიოსი
ხაიმე სანჩესი
თავდამსხმელები
7 ვალტერ პანდიანი
9 დიეგო ტრისტანი
16 რუბენ კასტრო
17 პედრო მუნიტისი
19 ალბერტო ლუკე
მარკოს ფერნანდესი
სებასტიან აბრეუ
მწვრთნელი:
ხავიერ ირურეტა

## რეალი

მეკარეები
1 იკერ კასილიასი
25 სანჩეს სესარი
ლოპეს დიეგო
მცველები
2 მიჩელ სალგადო
3 რობერტო კარლოსი
6 ივან ელგერა
15 რაულ ბრავო
17 ოსკარ მინამბრესი
18 ჯონათან ვუდგეიტი
19 ვალტერ სამუელი
22 ფრანსისკო პავონი
30 ალვარო მეხია
ხავიერ პარედესი
ნახევარმცველები
4 ბორხა
5 ზინედინ ზიდანი
10 ლუიშ ფიგუ
14 ხოსე მარია გუტი
20 ალბერტ სელადესი
21 სანტიაგო სოლარი
23 დევიდ ბექემი
ხუან ფრანსისკო ხუანფრანი
ბორხა ვალერო
რუბენი
თავდამსხმელები
7 რაული
8 ფერნანდო მორიენტესი
9 რონალდო
11 მაიკლ ოუენი
რობერტო სოლდადო
ხოსე მანუელ ხურადო
მწვრთნელი:
ხოსე ანტონიო კამაჩო

## ბილბაო

მეკარეები
1 ინაკი ლაფუენტე
13 დანიელ არანსუბია
ალკორტა ოინატსი
მცველები
2 ანდერ მურილიო
4 აიტორ კარანკა
11 ხავი გონსალესი
12 ხოსე მარია ლაკრუზი
14 ლუის პრიეტო
19 ასიერ დელ ორნო
24 სეზარ ფერნანდესი
ხავიერ კასასი
ნახევარმცველები
5 ფელიპე ალდანონდო
6 ოსკარ ვალესი
7 ენდიკა ბორდასი
8 იულენ გერერო
10 ფრანსისკო იესტე
13 კარლოს მერინო
15 ანდონი ირაოლა
16 პაბლო ორბაისი
18 კარლოს გურპეგი
22 ხოსება არიაგა
23 რობერტო მარტინეს ტიკო
იგორ ანგულო
არანზამენდი სოლაბარიეტა
თავდამსხმელები
9 სანტიაგო ესკერო
17 ხოსება ეჩებერია
20 ისმაელ ურსაისი
21 ხონან გარსია
გორკა ასკორა
მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე

## სევილია

მეკარეები
1 ესტებანი
13 ანტონიო ნოტარიო
29 ფერნანდო ტორიხესი
მცველები
2 ხავი ნავარო
3 დავიდი
6 დანიელი
15 ხუან რედონდო
20 აიტორ ოჩიო
24 პაბლო ალფარო
26 პაბლო რუის ბარერო
32 სერხიო რამოსი
ნახევარმცველები
5 ხერარდო ტორადო
8 ფერნანდო სალესი
10 ხულიო ბაპტისტა
11 რენატო
17 ხესული
18 ხოსე ლუის მარტი
21 ანტონიო ლოპესი
22 ფრანსისკო გასკუერო
23 ხორდი
დავიდ არტეაგა
ფრანსისკო დიასი
27 ანტონიო პუერტა
28 მარკო ნავასი
31 ხესუს ნავასი
ალვარო ხურადო
თავდამსხმელები
4 დარიო სილვა
7 კარლოს კარლიტოსი
9 მაკუკულა
14 ანტონიტო
19 კარლოს არანდა
მწვრთნელი:
ხოაკინ კაპაროსი

## ატლეტიკო

მეკარეები
1 სერხიო არაგონესი
25 ლეო ფრანკო
27 ივან გუელარი
მცველები
2 კოზმინ კონტრა
3 ანტონიო ლოპესი
5 გარსია კალვო
